

ქართული კალათბურთის გზა

2021

წლის ევრობასკეტამდე



საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია

„ქართული კალათბურთის გზა 2021 წლის ევრობასკეტამდე“

2021 წელს საქართველო ევროპის ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპს უმასპინძლებს! საიდან დაიწყო ქართული კალათბურთი, რა გზა გაირა დღემდე და როგორ მივიდა ევრობასკეტამდე.

კალათბურთის ფედერაციის ახალი პროექტი ქართული კალათბურთის ისტორიის შესახებ!

- ისტორიას ყოველთვის ემახსოვრება ქართული კალათბურთის წინაშე დამსახურებული ადამიანები, ლეგენდარული კალათბურთელები, მწვრთნელები... ყველა, ვინც თავისი წვლილი შეიტანა კალათბურთის განვითარების საქმეში. ახლა, როდესაც ევრობასკეტი ახლოვდება და კალათბურთი საზოგადოებისთვის უფრო მეტ მნიშვნელობას და პოპულარობას იძენს, ყველაზე დროულია ამ ისტორიის გაცოცხლება, ამ სახელების საზოგადოებისთვის კიდევ ერთხელ შეხსენება, მათი კიდევ ერთხელ დაფასება, ისე ღირსეულად, როგორც მათი სახელები გვეამაყება.
- კალათბურთის ფედერაციის ეგიდით ქართველი კალათბურთელების და მწვრთნელების პატივსაცემად სხვადასხვა ღონისძიებები ტარდება: ოთარ ქორქიას სახელობის სუპერთასი, ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალი, დუდუ დადიანის მემორიალური ტურნირი, დაწესებულია გიორგი ავალიშვილის სახელობის პრიზი საუკეთესო მწვრთნელისთვის, გელა დარსაძის სახელობის პრიზი ახალგაზრდა კალათბურთელისთვის და სხვ. წლების განმავლობაში მუშაობს „ვეტერან კალათბურთელთა დახმარების ფონდი“, მაგრამ ქართულ საზოგადოებას უნდა მიეწოდოს ყველა სახელი, ყველა ინფორმაცია კალათბურთის წინაშე დამსახურებული ხალხის შესახებ.

პროექტის მიზანია ქართული კალათბურთის ისტორიის გაზიარება მომავალი თაობისთვის.

კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პროექტი გრძელვადიანია, რომელიც დაიწყო 2019 წლის ოქტომბერში და გაგრძელდება 2021 წლის ევრობასკეტამდე. აღნიშნული პროექტის საშუალებით ევრობასკეტ2021-ის ფარგლებში ქართულ საზოგადოებას მუდმივად მიეწოდება ინფორმაცია ქართული კალათბურთის ისტორიის და ქართველი კალათბურთელების, მწვრთნელების შესახებ, რომელთა დამსახურებითაც კალათბურთი გახდა მოწინავე და პოპულარული სპორტის სახეობა საქართველოში და მივიდა ევრობასკეტამდე.

ქართული კალათბურთის ისტორია 2 ნაწილად იყოფა - დამოუკიდებლობამდე და დამოუკიდებლობის შემდეგ. 1991 წლიდან, მას შემდეგ რაც ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა და ქართული კალათბურთიც დამოუკიდებლად ჩაება საერთაშორისო საკალათბურთო ასპარეზზე, საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა წელი, მაგრამ მყარი ნაბიჯების გადადგმა დაიწყო ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპისკენ.

პროექტის პირველი ეტაპი სწორედ ამ ამბით დაიწყო. მოგიყვებით 90-იანი წლების კალათბურთიდან დღემდე.

- მოგიყვებით იმ კალათბურთელებზე, რომელმაც იასპარეზეს საქართველოს ეროვნული ნაკრების ოფიციალურ მატჩებში და თავისი წვლილი შეიტანეს ქართული კალათბურთის განვითარების საქმეში. მოგიყვებით ნიკოლოზ დერიუგინიდან ზაზა ფაჩულიამდე, ვიქტორ სანიკიძემდე და მანუჩარ მარკოიშვილამდე. თებერვლის თვეში, ევრობასკეტის შესარჩევ ეტაპზე, საქართველოს ეროვნული ნაკრების საშინაო მატჩზე, ეროვნული ნაკრების წევრების სახემო გაცილების მოწყობა რომელთა ასპარეზობის ისტორიით დასრულდება პროექტის პირველი ეტაპი.

პროექტი შემდეგი ეტაპით გაგრძელდება.

კერძოდ, 1922 წლიდან, ქართული კალათბურთის დაარსებიდან დამოუკიდებლობის მოპოვებამდე.

- ამბავი დაიწყება ალექსანდრე ჭელიძით, რომელმაც მოსკოვში გამართულ სპარტაკიადაზე ნანახი უცხო თამაში - კალათბურთი საქართველოში ჩამოიტანა.
- ყველა ვეტერანი კალათბურთელების ღირსეული დაფასება, ევრობასკეტისთვის ჟურნალის/წიგნის გამოცემა ქართულ და ინგლისურ ენაზე, რომელშიც სრულად მოიყრის თავს ქართული კალათბურთის ისტორია.
- ❖ *პროექტის ფარგლებში ერთ სივრცეში გაერთიანდება წერილობითი, სტატისტიკური, ფოტო და ვიდეო მასალები.*

აღნიშნული პროექტის საშუალებით, ევრობასკეტ 2021-ის ფარგლებში ქართული კალათბურთის ისტორია გაცოცხლდება და ჩვენ მოგიყვებით ამბავს ამ ისტორიის შესახებ